სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

პრესრელიზი

27.02.2015წ.

საკონტაქტო პირი: ეკა გაბადაძე
კომუნიკაციების მენეჯერი
ელ.ფოსტა: egabadadze@spa.ge
ტელ: 577244454

სასწავლო ცენტრის მესამე ეტაპის მსმენელებს სერთიფიკატები გადაეცათ

27 თებერვალს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფისში, სააგენტოს მიერ დაფინანსებული ტრეინინგების "სახელმწიფო შესყიდვების კურსი" მესამე ეტაპის მსმენელებს სერთიფიკატები სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ კახა დემეტრაშვილმა და სასწავლო ცენტრის დირექტორმა თენგიზ თოფურიძემ გადასცეს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში მესამე ეტაპზე სწავლება გაიარა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ასევე თბილისში განთავსებული სახელმწიფო დაწესებულებების, სამინისტროების, ცენტრალური ხელისუფლების, საჯარო სამართლის, იურიდიული პირების, თბილისის მერიის და სხვა სახელმწიფო უწყებების 45-მა მოსამსახურემ.

მესამე ეტაპის ტრენინგები 2 თებერვლიდან დაიწყო და 27 თებერვლამდე გაგრძელდა. ტრენინგების პირველ ორ ეტაპზე გადამზადდა 92 მსმენელი ადგილობრივი თვითმმართველობებიდან.